NIKO NIKOLADZE ABOUT BOULANGISM, LEGITIMACY AND THE CONSEQUENCES OF THE ILLEGAL SEIZURE OF THE GOVERNRMENT

ნიკო ნიკოლაძე ბულანჟიზმის, ლეგიტიმურობის და ხელისუფლების უკანონო პყრობის შედეგების შესახებ

VAZHA SHUBITIDZE
Doctor of Political Science, GTU Professor,
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-1928-8310
Va.shubitidze@gmail.com
Tel: +995599785845

AVTANDIL BUTSKHRIKIDZE

Doctor of Political Science,
Associate Professor of Kutaisi State University
ORCID: 0009-0008-7174-1558
butskhrikidze@Atsu.edu.ge
Tel +995599953242

ABSTRACT

For the first time in Georgia, the views of the great Georgian thinker Niko Nikoladze (1843-1928) on Boulangism, legitimacy and the consequences of illegal government capture are analyzed, the essence of Boulangism, its supporting layers and anti-democratic essence, the negative and positive consequences and lessons of Boulangism, the peculiarities of Boulangism in developed and backward countries are presented. The final moral of Boulangism. It has been shown that Boulangism increases and elevates the political consciousness and experience of citizens, that after its collapse, it becomes easier for society to distinguish decent and reliable people from bad ones, make the right conclusions and choose the right orientation.

Keywords: boulangism; crowd; the elite; legitimacy; political leadership; power.

ვაჟა შუბითიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-1928-8310
Va.shubitidze@gmail.com
Tel: +995599785845

ავთანდილ ბუცხრიკიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ORCID: 0009-0008-7174-1558
butskhrikidze@Atsu.edu.ge
Tel +995599953242

აბსტრაქტი: სტატიაში პირველად გაანალიზებულია დიდი ქართველი მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ბულანჟიზმის (ეს ტერმინი მან დაამკვიდრა პირველად რუსეთის იმპერიაში), ლეგიტიმურობის და ხელისუფლების უკანონო პყრობის ნეგატიური და პოზიტიური შედეგების შესახებ. ნიკოლაძე ფაქტებზე დაყრდნობით წარმოაჩენს ბულანჟიზმს, როგორც არალეგიტიმურ, ამორალურ, პოპულიზმზე დამყარებულ მოვლენას, რომელიც, დროებითი წარმატების მიუხედავად, საბოლოოდ დამარცხებისთვისაა განწირული. ამ ყველაფერს უარყოფითთან ერთად გააჩნია დადებითი მნიშვნელობაც - ის ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკურ აღზრდას, გამოცდილების მიღებას, ესაა კარგი გაკვეთილი იმისათვის, რომ ხალხის გაცურება და მოტყუება ასე ადვილად ვერავინ შეძლოს. ნიკოლაძის დასკვნით, რაც უფრო ქარაფშუტა, უცოდინარი და ზნეობრივად უწმინდურია გარემო, (მაგ: თანამედროვე საქართველოში ვ.შ., ა.ბ.), მით უფრო იოლად და ხანგრძლივად იმარჯვებს მასში ბულანჟიზმი. ისეთ სფეროებში, სადაც ჯერ კიდევ მტკიცეა ძველი გადმოცემებისა და კანონებისადმი რწმენა, ან სადაც უკვე მოასწრო დამკვიდრება ცხოვრებისა და თანამედროვეობის კანონებისადმი შეგნებულმა პატივისცემამ, ბულანჟიზმი სრულიად საფუძველსმოკლებული, უვნებელი და უბრალოდ წარმოუდგენელია. ნიკოლაძის თქმით, იგი პიროვნების ან საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალი ეპოქების თვისებაა, როდესაც ადამიანები, გაბატონებული წყობის საძაგელი ან მოძველებული მხარეების ზეწოლით, მისი ზოგიერთი მხარის ჩამოშლისას ერთბაშად განუდგებიან ხოლმე ყველა არსებულ გაგებას, ზნე-ჩვეულებებს, წესებს, რადგან ვერ წვდებიან განსხვავებებს მოძველებულსა და მარადიულს შორის, რაც ბუნების უცვლელი კანონების მიერაა ჩამოყალიბებული. ბულანჟიზმის გამოვლენა რომელიმე გარემოში მისი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების, მისი ასაკის სიმპტომატური ნიშანია, ზუსტად იმგვარი, როგორც ცალკეულ პიროვნებებში კბილების ამოსვლა და დაცვენაა. ამიტომ ნიკო ნიკოლაძე მიზნად ისახავს მკითხველის გარკვევას ბულანჟიზმის ფიზიონომიაში (ანატომიაში).

საკვანძო სიტყვები: ბულანჟიზმი; ბრბო; ელიტა; ლეგიტიმურობა; პოლიტიკური ლიდერობა; ძალაუფლება.

შესავალი

ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ქართული პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ დამფუძნებელს, აინტერესებდა პოლიტიკური მეცნიერების ფართო სპექტრი და თავის წერილებში იხილავდა მათ. მაგ: ლეგიტიმურობის საკითხი, არჩევნები, კანონების, წესების და ტრადიციებისადმი პატივისცემა, პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია, ლიდერობა, პოლიტიკური მართვის პრობლემები, პოლიტიკური დებატები, ერთპარტიულობა და პლურალიზმი, ნაციონალიზმი და ა.შ.

ბულანჟიზმი ნიკო ნიკოლაძის მიერ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში შემოტანილი ტერმინია, რომელიც იმ დროს საზოგადოების დიდი ინტერესს იწვევდა. დღეს ამ ტერმინის შესატყვისი სხვა ტერმინები არსებობს (მაგ. იგივე პოპულიზმი, ხალხის მანიპულირება და სხვ.), თუმცა შინაარსი ერთი და იგივეა (ბულანჟე იყო ფრანგი გენერალი, რომელმაც მოტყუებით შეძლო გარკვეული პოლიტიკური წარმატებებისთვის მიეღწია საპრეზიდენტო არჩევნებზე, თუმცა ბოლოს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს).

მეთოდები

ნაშრომში საკვლევი თემის გაანალიზებისას გამოყენებულია ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული ტრადიციული და თანამედროვე კვლევის მეთოდები, კერძოდ: შედარებით-ისტორიული მეთოდი, კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის ანალიზი. შეჯამება მოხდა სისტემური ანალიზის მეთოდით.

მსჯელობა და შედეგები

ნიკო ნიკოლაძის განმარტებით „ბულანჟიზმი არის ქარაფშუტობა და იმ არა-კეთილსინდისიერების ნაზავი, როდესაც საკუთარი გამარჯვებისა და გადარჩენის საფუძვლად მიიჩნევენ გარშემო მყოფთა მდაბალ და მანკიერ თვისებებზე თამაშს. სწორედ ამაში მდგომარეობს ბულანჟიზმის უმნიშვნელოვანესი ბოროტება და, ამავე დროს, შხამსაწინააღმდეგო თვისებაც. იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიაღწიონ წარმატებას, აუცილებლად იქცევიან დამნაშავეებად. წარმატებისაკენ, მეთაურობისაკენ მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან მტკიცე და გონივრული შრომა, ან კიდევ ტყუილი და კანონდარღვევები. ცხოვრების ლოგიკა დაუძლეველი ძალით მოისვრის ხოლმე ამ უკანასკნელზე ყველა პატივმოყვარეს, ვინც კი წამით მაინც გადაუხვევს პირველ გზას“ (ნიკოლაძე, 2023: 305). ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ ის, რაც ბულანჟიზმის არსს და განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება კომერციულ სამყაროშიც, სასამართლოს ყოველდღიურობაშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, ანუ მას უნივერსალური ხასიათი გააჩნია: „ბულანჟიზმი, წერს ის, - არსებითად გარკვეული ჯგუფის, გარემოს, ხალხის ავადმყოფური მდგომარეობის სიმპტომია - იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდია გმირის ზემოქმედებისა და გავლენის სფერო. ესაა ძალებისა და სისხლის დუღილის სიმპტომი, - დუღილისა, რომელიც დამახასიათებელია პიროვნების, საზოგადოების, ხალხის გარკვეული ასაკის ან განვითარებისათვის, რაღაც საზოგადოებრივი ან ნაციონალური წითელას თუ ქუნთრუშას მსგავსი“ (ნიკოლაძე, 2023:306). ნიკოს თქმით, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო, უდავოდ გარემოა. მის განვითარებაზე, მის მოწიფულობაზეა დამოკიდებული ავადმყოფობის მიმდინარეობა - ნიკოს დაკვირვებით, „თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, რა შეიძლება იყოს ისეთ ადამიანზე უფრო საძაგელი და საშინელი, რომელიც აღვივებს და ექსპლუატაციას უწევს გარშემო მყოფთა ქვენა გრძნობებს? ესაა სიცრუის, ანგარების,

ღალატის, უკანონობის მთესველი, იგია საზოგადოებრივი ზნეობრიობის გამრყვნელი... წაიკითხეთ ამ ტიპის ისტორიულ მოღვაწეთა ცხოვრების სერიოზული და მიუკერძოებელი აღწერები, დახასიათებები და დარწმუნდებით, რომ დაგეროტიპულად, გადაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ყოველი მათგანი გადასარევი ადამიანია, ყველა კაი ბიჭია, ნიჭიერი, თავაზიანი, პურმარილიანი, მიმნდობი, მომხიბლავი და „ადვილად დასაჩაგრი“, როგორც მათ გარემოში ამბობენ, მაგრამ ამავე დროს, ყველა მათგანი მეოცნებე, ქარაფშუტა, უპასუხისმგებლო ადამიანია“ (ნიკოლაძე, 2023:307-308). ნიკოლაძის თქმით, ისინი უდრტვინველად მიიწევენ წინ, გზებს არ დაეძებენ, აკლიათ ზიზღი სიბინძურისადმი და სიძულვილი ბოროტებისადმი, რის გამოც საკუთარ თავს ვერასოდეს ეკიდებიან კრიტიკულად, მიუკერძოებელი მსაჯულის სიმკაცრით. ყოველივეს შედეგია ზნეობრივი გარყვნა, საკუთარ ნებასა და ცხოვრებაზე დისციპლინის უქონლობა და ფანტაზიის სრული თავისუფლება, რომელიც თანდათან ივიწყებს რეალობას. ნიკოლაძის განმარტებით, ასეთ მდგომარეობაში ადამიანს თანაბრად შეუძლია ჩაიდინოს როგორც სასახელო, ისე უმდაბლესი საქციელი, გააჩნია, საით დაუბერავს ქარი. გარემოც სპეციალიზირდება თანდათან ასეთ პირთან მიმართებაში - თანდათან წესიერი, მშრომელი და დინჯი ადამიანები ჩამოცილდებიან ხოლმე ამ პიროვნებას, რომელსაც თავის ნებაზე აქვს მიშვებული ინსტიქტები და საკუთარ სურვილებს გარდა, სხვა კანონებს არა ცნობს (ეს ხშირად ხდება მმართველი პარტიების ლიდერებთან მიმართებაში). ასეთი პირის გარშემო მხოლოდ ის ადამიანი რჩებია, რომლებიც კარგი გასამრჯელოს ხათრით მზად არიან ყველაფერი აპატიონ და აიტანონ. გმირის პიროვნებისადმი შეგუების უნარი კარნახობს მათ მის სისუსტეთა ექსპლოატაციის მარტივ პროგრამას: „თქვენ ამომავალი ვარსკლავი ხართ“, „თქვენ ბედის რჩეული ხართ“, „თქვენ-ჩვენი კანონი ხართ“ და ა.შ. საბრალო კაცი თავიდან არ აქცევს ყურადღებას ასეთ პირფერობას, მაგრამ შემდეგ ეჩვევა მას და უფრო და უფრო იწყებს ფიქრს, რო ეს სიმართლეა - თანდათან სერიოზულად სჯერა, რომ იგი პროვიდენციული არსებაა, რომ თითოეული მისი ნაბიჯი „მისი მეფობის საუკეთესო აზრია“, რომ იგი განსაკუთრებული და გამორჩეული სიდიდეა მთელს სამყაროში“ (ნიკოლაძე, 2023:309). ნიკოლაძის თქმით, მის გარშემო მყოფი გაიძვერები და თაღლითები აგულიანებენ მას იაფასიანი ტრიუმფებითა და აპლოდისმენტებით, მაგრამ რადგან მასზე გაცილებით უფრო პრაქტიკულები არიან, დროს არ აცდენენ, ცდილობენ „შავი დღისთვის“ რაც შეიძლება სწრაფად და მეტი დაიტაცონ - უნდა ძარცვონ მარჯვედ, ვიდრე არ გათენებულა. ეს გაიძვერები, ცხადია, პირველები ტოვებენ მას გასაჭირშიც. შეცბუნებულს უკვე აღარაფერი ესმის მომხდარი მეტამორფოზის. ბრძანებას გასცემს, მაგრამ უკვე არავინ ადგილიდან არ იძვრის. იმუქრება, მაგრამ ყველას ეცინება. ბრბო უკვე აგდებით უყურებს და დასცინის ამ ჩვენს „გმირს“.

ნიკო ნიკოლაძის მახვილგონივრული დაკვირვებით „ბრბომ, უფრო ხშირად, მოღვაწის ნამდვილი სიმაღლის განსაზღვრა მათი გარდაცვალების ან მარცხის შემდეგ იცის. მცოდნისთვის კი სასინჯი ქვა, პირიქით, მათი ხელისუფლებისა და მეთაურობის დღეებია“ (ნიკოლაძე, 2023:310). ნიკოს თქმით, ნამდვილი მოღვაწეთა ყალბებისგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი უმოქმედოდ კი არ არიან, კი არ პაროდირებენ ძალაუფლებით, არამედ მუშაობენ. მათ მტკიცედ იციან, რომ ძალაუფლება მინიჭებულნი აქვთ არა გასართობად, არამედ საზოგადოებრივი სარგებლობის განსახორციელებლად, რომ მათი პატივმოყვარეობის, სათავეში მათი დგომის ერთადერთი გამართლება შეიძლება იყოს იმის განხორციელება, რომ მათ დროს და მათ შემდეგ, მათი შრომის წყალობით, საზოგადოებას უფრო მსუბუქი, უკეთესი და ჭკვიანური ცხოვრება ჰქონდეს, ვიდრე მათ მიერ ძალაუფლების მიღებამდე ჰქონდა. ნიკოლაძის აზრით, ნამდვილი მოღვაწეების ყალბებისგან მეორე, ასეთივე მკაფიო, შესაძლოა, უფრო თვალშისაცემი განსხვავება უკვე მათი მარცხის შემდეგ ვლინდება. წარუმატებლობები მხოლოდ განამტკიცებენ და აძლიერებენ ნამდვილ მოღვაწეებს და ვერაფერი მარცხი ვერ

ამოაგდეს მათი ამაღლებული სულიდან სიმართლისა და გონების საბოლოო გამარჯვების რწმენას, რადგან ამ მოღვაწეებს საკუთარი თავი კი არ ადარდებთ და საკუთარი გამარჯვებისთვის კი არ იბრძვიან, არამედ საერთო სიკეთისათვის, რომელიც განუყოფელია ჭეშმარიტებისა და სამართლიანობასთან და შესაბამისად, ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გაიმარჯვებს, თუნდაც ასეთი მოღვაწის სიკვდილს შემდეგ. ნიკოს ამის მაგალითად მოჰყავს იტალიის ეროვნული გმირის ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობა. იგი რამდენჯერმე დამარცხდა საარჩევნო ბრძოლაშიც, ბრძოლის ველზეც, მაგრამ არ დაცემულა სულით „არა იმიტომ რომ გენიოსი იყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ უკვდავ იდეას ემსახურებოდა და არა საკუთარ „მეს“ (ნიკოლაძე, 2023:311). ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მას და მის უბრალო, რიგით თანამოაზრეებს წინ მიუძღოდათ სიყვარული ისეთი რაღაცის მიმართ, რაც პირად ბედნიერებაზე მეტია და პირად ცხოვრებაზე უფრო ხანგრძლივი. ნიკოლაძის განმარტებით, ისინი, ვინც მხოლოდ საკუთარ თავს ემსახურებიან და, გარდა პირადი წარმატებისა, სხვა ღმერთი არ გააჩნიათ, ცხადია, ვერ ეგუებიან მარცხს, რადგან ეგოისტები არიან. აქედან მოდის სულმოკლეობა, ყველანაირ სიმდაბლემდე დაცემა და ქვეყნიდან წყევლით წასვლა.

ნიკო ნიკოლაძე აქ კვლავ უბრუნდება ბულანჟეს და სვამს კითხვას: „რით, თუ არა ზუსტად ასეთი ქარაფშუტობით შეიძლება აიხსნას ის, რომ ამ ადამიანმაც, ერთ მშვენიერ დღეს, წარმოიდგინა, რომ შეუძლია გააცუროს ყველა პარტია, მთელი ქვეყანა, მთელი ისტორია, და რომ მოახერხებს იმას, რაზეც გამოკიდებულებმა კისერი მოიტეხეს, ისეთმა მსოფლიო გიგანტებმა, როგორიც იყვნენ ნაპოლეონ ბონაპარტი, და ისეთმა, ყოველ შემთხვევაში გამორჩეულმა პოლიტიკოსმა, როგორიც ნაპოლეონ III იყო?“...(ნიკოლაძე, 2023: 315).

ასეთ ადამიანებს, ნიკოლაძის თქმით, უჩნდებათ დამახასიათებელი თავისებურება: ზიზღი შრომისა, სინდისის აბუჩად აგდება, უნდობლობა მეცნიერებისადმი. ჩნდება დარწმუნებულობა იმაში, რომ სწავლაც, შრომაც, მეცნიერების დასკვნებიც, გამოცდილების გაკვეთილებიც გამოგონილია სულელების, მიამიტების გამოსათაყვანებლად, ბრბოსთვის, მდაბიოებისათვის ლაგამის ამოსადებად. აზრიანი ადამიანებისათვის კი უბრალოდ სიბრიყვეა ასეთი ზღაპრების დაჯერება. ცხოვრებაში მთავარი მოხერხებულობა და სიმამაცეა, ცხოვრება შემთხვევითობაა, რომელშიც მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც ფხიზლადაა (ნიკოლაძე, 2023: 316).

ყველა ქარაფშუტა ადამიანს ჰგონია, რომ ყველაზე ბედნიერი იქნება, რომ იგი სამყაროს ცენტრია, რომ სამყარო მისით იწყება და მთავრდება, ერთი სიტყვით, რომ იგი ცხოვრების კანონების მიღმაა და მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი იქნება.

ნიკო ნიკოლაძის გონივრული დაკვირვებით, „ამ კატეგორიის ყველა ადამიანს ერთიანად ავიწყდებათ, რომ ბუნებაში არ არსებობს არაფერი საწყისისა და შედეგების გარეშე, რომ ბუნებაში არ არსებობს ნახტომები... დანაშაული ხომ თავის თავში მოიცავს სასჯელის ჩანასახს. მოწამლულ ფიალას, რომელსაც სხვებს ვაწვდით, ბედი ჩვენსავე წინააღმდეგ შემოატრიალებს. აქ მიწიერ ცხოვრებაში, ჩვენ კვალდაკვალ დაგვდევს და გვსჯის სასჯელი ყოველი დანაშაულის გამო. და ესაა ბუნების კანონი“ (ნიკოლაძე, 2023: 318).

ნ. ნიკოლაძის ბრწყინვალე დასკვნის და მის მიერ ხაზგასმული კანონზომიერების მიხედვით „იმ კანონის საფუძველს, რომ ყოველ 18 ბრიუმერს და 2 დეკემბერს (ნაპოლეონ I და ნაპოლეონ III-ის მიერ გადატრიალებების მოწყობის თარიღები - ვ.შ.,ა.ბ.), წარმოადგენს მარტივი და ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტება, რომ თუ კანონის დარღვევაზე მიდიხართ, დასახმარებლად უნდა მოუხმოთ გარშემო არსებულ მდაბალ და მანკიერ ელემენტებს, ისეთებს, რომელთაც არ შეუძლიათ სულისკვეთების ამაღლება, რაც თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის გამართლებისთვის არის საჭირო. ეს ელემენტები აკნინებენ საზოგადოების არა მარტო ზნეობრივ ზრდას, არამედ გონებრივ ძალასაც. მათი

საპირისპირო - სამართლის, მეცნიერების, შრომის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ ნებისმიერი საზოგადოების არა მარტო ფერსა და სიამაყეს, არამედ მის სულსაც და საყრდენს, უმოქმედოდ არიან და ატროფირდებიან, ან სულაც ითრგუნებიან. იმ დროის განმავლობაში კი, როდესაც ამ გარემოში ცხოვრების სწორი დინება დარღვეული იყო უგუნური ელემენტების მანევრირებით და გონიერის ატროფიით, გარშემო, სხვა ქვენებში, მეზობლებთან ცხოვრება სწორად, კანონიერად მიდიოდა, მთელი მკერდით სუნთქავდა, და ბოლოს და ბოლოს, წარმოიქმნა ის ვითარება, რომელიც მეხილეებისთვის ცნობილია სახელწოდებით - მოტნევა. მთლიანი ორგანიზმის ის ნაწილი, რომელიც მოტნეულია, ვეღარ იკვებება სრულფასოვნად . მცენარის მეზობელი ნაწილები კი გაორმაგებული რაოდენობის ყვავილს და ნაყოფს ისხამენ. თუ დროულად არ მოხდა მიზეზების დადგენა, მოტნეული ტოტი საბოლოოდ ჩაკვდება და გახმება, საჭირო გახდება მისი მოჭრა, რათა ხე მთლიანად არ დაზიანდეს (საქართველო ბოლო 30 წლის განმავლობაში - ვ.შ., ა.ბ.).

აბსოლუტურად იგივე ემართება ყველას, ვინც საკუთარი გეგმის, ან მისი განხორციელების საშუალების საფუძვლად იყენებს კანონის გვერდის ავლას და მის დარღვევას: „იგი თავისივე დანაშაულის მსხვერპლი ხდება“ (ნიკოლაძე, 2023: 319). ნიკოს სიტყვებით, ბულანჟიზმმა ეს არ იცის ან არ ახსოვს. თავისი ქარაფშუტობის გამო, წარმოუდგენია, რომ შეიძლება მტკიცე რაიმეს აგება ადამიანების გამყიდველობაზე, გამყიდველ ადამიანებზე. ბულანჟიზმი რომ ქარაფშუტობის განსახიერება არ იყოს, განა ძნელი იქნებოდა იმის მიხვედრა, რომ ადამიანი, რომელმაც გამორჩენისათვის უღალატა კანონს, სამშობლოს და ღირსებას, ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ისე მიღალატებს მეც, როგორც კი ეს მისთვის შესაძლებელი და მომგებიანი გახდება?

არ არსებობს ისეთი საზოგადოება, აღნიშნავს ნიკოლაძე, მცირე ხნით რომ არ გაიტაცოს რამემ და არ შეცდეს, ზოგჯერ უმიზეზოდაც კი. თვით ყველაზე განვითარებულ საფრანგეთის საზოგადოებასაც კი მოუვიდა მძიმე შეცდომა 1889 წელს, როცა ბულანჟემ, რომელსაც არავითარ დამსახურება და ნიჭი არ გააჩნდა, მხოლოდ თავის უტიფრობით მოუყარა თავი შულერებს, სროსკიპოების პატრონებს, კონტრაბანდისტებს, იაფასიან ბლოკადებს და გაზეთების გამყიდველებს და შეძლო მსოფლიო სატახტო ქალაქის - პარიზის და მსოფლიოს უგანათლებულესი ქვეყნის მოსახლეობის გამოთაყვანება და ღიად აცხადებდა პრეტენზიას ქვეყნის პრეზიდენტობაზე. ეს ფანტასმაგორია კინაღამ განხორციელდა და ჩაიფუშა მხოლოდ საფრანგეთის ყველა ერთგული შვილის ვაჟკაცობის და ერთსულოვნების წყალობით - ისინი ფიქრობდნენ იმაზე, თუ რას უნდა ემართა საზოგადოება - სიმართლეს თუ სიცრუეს, სინათლეს თუ სიბნელეს, ღირსებას თუ ანგარებას (ნ. ნიკოლაძე).

ნ. ნიკოლაძე წარმოაჩენს ბულანჟიზმის საბოლოო მორალს - თვალის ახელა დაცემის შემდეგ, გაცნობიერება იმის, რომ არსებობს წესრიგი, ცხოვრების კანონ- შესაბამისობა.

ბულანჟიზმის დადებით მხარედ ნიკოლაძეს მიაჩნია, ის რომ „ბულანჟიზმის ნებისმიერი გამარჯვება მომენტალურად აჯგუფებს გარემოს ორ, მკვეთრად გამიჯნულ ნაწილად. მისკენ ისწრაფვის ყველაფერი, რაც კი დამპალი და მანკიერია მოცემულ გარემოში, ყველაფერი, რაც პარაზიტული და ზერელეა. ამიტომ მშრომელებს, თანმიმდევრული და ოდნავ შესამჩნევი პროგრესისა და თავისი კერძო და საერთო, სახალხო კეთილდღეობის მოკრძალებულ მოღვაწეებს ბულანჟიზმის დროს და უშუალოდ მისი დასრულების შემდეგ ძალიან უადვილდებათ საზოგადოებაში ორიენტირება და - რაც ჩვეულებრივ საკმაოდ რთულია ამ ქვეყანაზე - წესიერი და საიმედო ადამიანების ცუდთაგან გამორჩევა“ (ნიკოლაძე, 2023: 320-321).

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში გაანალიზებულია დიდი ქართველი მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) შეხედულებანი ბულანჟიზმის, ლეგიტიმურობის და ხელისუფლების უკანონო პყრობის შედეგების შესახებ, წარმოჩენილია ბულანჟიზმის არსი, მისი საყრდენი ფენები და ანტიდემოკრატიული არსი, ბულანჟიზმის უარყოფითი და დადებითი შედეგები და გაკვეთილები, ბულანჟიზმის თავისებურებანი განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებში, ბულანჟიზმის საბოლოო მორალი. ნაჩვენებია, რომ ბულანჟიზმის კრახით დასრულების შემდეგ საზოგადოებას უადვილდება წესიერი და საიმედო ადამიანების ცუდთაგან გამორჩევა, სწორი დასკვნების გაკეთება და ორიენტირების სწორად შერჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბუცხრიკიძე, ა. (2008). *ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა.* ქუთაისი.

ნიკოლაძე, ნ. (2023). *თხზულებანი,* ტ. X. ქუთაისი.

ნიკოლაძე, ნ. (1997). *რჩეული, ქართული მწერლობა.* ტ.14. თბ.

შუბითიძე, ვ. (2023). *ნიკო ნიკოლაძე - XIX საუკუნის უდიდესი ქართველი.* თბ.

REFERENCES

butskhrik'idze, a. (2008). *elit'izmis k'lasik'uri teoriebi da p'olit'ik'uri lideroba. [Classical theories of elitism and political leadership].* Kutaisi.

nik'oladze, n. (2023*). tkhzulebani,* t'. X. [*Essays*]. vol. X. Kutaisi.

nik'oladze, n. (1997). *rcheuli, kartuli mts'erloba.* t'.14. *[Selected, Georgian writing*]. Vol. 14. Tb.

shubitidze, v. (2023). *nik'o nik'oladze - XIX sauk'unis udidesi kartveli [Niko Nikoladze - the greatest Georgian of the 19th century].* Tb.